



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 38
28/06/2019

38-09-4-201906281901



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. შეტანილ იქნას ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

1. განკარგულებით დამტკიცებული დანართი „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა“ ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო




თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის

მუნიციპალური პროგრამა

№	ობიექტის დასახელება	განსახორციელებელი სამუშაოები	განხორციელების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	ყორჩიბაშიშვილების ციხე	ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯის რეაბილიტაცია	II-III-IV კვარტალი	40 000
2	ყორჩიბაშიშვილების ციხე	სამხრეთ-აღმოსავლეთ ბურჯის რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვა	II-III-IV კვარტალი	6 850
3	დაბახნები	დაბახნების ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები	II-III-IV კვარტალი	18 800
4	დაბახნები	არქეოლოგიური ობიექტის გადახურვა	წლის განმავლობაში	8 450
5	თეთრიწყლები/ნაქალაქარი	არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები	II-III-IV კვარტალი	20 500
6	კვირიკეს ციხე (ძვ. გალავანი)	არქეოლოგიური სამუშაოები	II-III-IV კვარტალი	18 800
7	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლები	კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საგამომცემლო საქმიანობა	წლის განმავლობაში	10 000
8	ძველი აბანო	კულტურული მემკვიდრეობის მოვლის და დასუფთავების ხარჯი	წლის განმავლობაში	7 000
9	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ავარიული ძეგლები	ავარიული შენობების დამცავი ბადეები	I-II-III კვარტალი	5 000
10	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები	ჩასატარებელი სამუშაოების სანებართვო მოსაკრებელი	წლის განმავლობაში	150

11	ქ. თელავის ტერიტორია	მიწისქვეშა გვირაბების საძიებო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა	II-III-IV კვარტალი	450
12	ქ. თელავის ტერიტორია	მიწისქვეშა გვირაბების საძიებო სამუშაოები	II-III-IV კვარტალი	8 000
	ჯამური თანხა			144 000

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო